



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირების
სადოქტორო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს ქართულ-
ამერიკული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 22 თებერვალი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 19 აპრილი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	206169304
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, - 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 13 მაისის #103 გადაწყვეტილება)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გოჩა თუთბერიძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო ხუნდაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ოთარ ქირია, ილიას უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლა (ფაკულტეტი) ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამას ახორციელებს 2008 წლიდან. 2009 წელს უნივერსიტეტმა გაიარა ინსტიტუციური აკრედიტაცია და პროგრამა 2009-2014 წლებში ფუნქციონირებდა ინსტიტუციური აკრედიტაციის ჭრილში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამას აკრედიტაცი მიენიჭა 2014 წლის 13 მაისს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N103 გადაწყვეტილებით, 5 წლის ვადით. სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო (მათ შორის თავისუფალი) და კვლევითი კომპონენტებისგან, საიდანაც 60 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 120 კრედიტი - კვლევით კომპონენტს. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მქონე პირს, განურჩევლად დარგისა და სპეციალობისა. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ „B2“ დონეზე ცოდნა. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტი) იყოფა სავალდებულო, არჩევით და თავისუფალ კომპონენტებად. სავალდებულო სასწავლო კომპონენტი მოიცავს სამ სასწავლო კურსს თითოეული 10 კრედიტის მოცულობით (სულ 30 კრედიტი). არჩევითი კომპონენტში შეთავაზებულია დარგობრივი ენა (ინგლისური) 10 კრედიტის მოცულობით, სწავლების მეთოდები (10 კრედიტი), მათემატიკური მოდელირება (5 კრედიტი) და თემატური სემინარი (15 კრედიტი). სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს თავისუფალ კომპონენტს, რომელსაც დოქტორანტი აგროვებს არჩევითი სასწავლო კომპონენტის ნაცვლად ბიზნესის სკოლაში (ფაკულტეტზე) ან ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 22 მარტს თბილისში მერაბ ალექსიძის ქუჩა №10-ში. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეებში ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

22 მარტს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 9 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (რექტორი, ვიცე-პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში), თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სადოქტორო პროგრამა შესაბამისობაშია I, III, IV და V სტანდარტებთან და მეტწილად შესაბამისობაშია II სტანდარტთან.

▪ **რეკომენდაციები**

- უნდა შემცირდეს პროგრამის სწავლის შედეგები რაოდენობრივად;
- პროგრამის სწავლის შედეგების აღწერა უნდა იყოს მარტივი, მკაფიო, რათა ადვილი იყოს მისი გაზომვა და შეფასება. მაგ. „სტუდენტი იყენებს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებს“; „სტუდენტი განსაზღვრავს (აღწერს) თანამედროვე საკვალიფიკაციო-სამეცნიერო თემატიკის შერჩევისა და რეალიზაციის თავისებურებებს“; „დოქტორანტი აქვეყნებს პუბლიკაციებს ბიზნესის ადმინისტრირების დარგებში საერთაშორისო რეფერირებად ან რეცენზირებად გამოცემებში; მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში“ და ა.შ.
- დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების, სწავლა სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკები;
- პროგრამა უნდა გამდიდრდეს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების შესაბამისი სპეციალობის სასწავლო კურსებით, რომლებსაც გაუძღვებიან შესაბამისი კვალიფიკაციის დარგის სპეციალისტები;

- პროგრამას უნდა დაემატოს სასწავლო კურსი „ბიზნესის კვლევის მეთოდები“ არსებული სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები“ ნაცვლად, რომელიც უფრო მეტად სოციოლოგიური კვლევის მეთოდების სწავლებაზეა ორიენტირებული;
 - არჩევითი კურსები უნდა იძლეოდნენ მეტ შესაძლებლობას დოქტორანტმა თავისი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, შეარჩიოს სასწავლო კურსი (მათ შორის მიმართულებების მიხედვით: ფინანსები, აღრიცხვა, მენეჯმენტი, მარკეტინგი, HR), ხოლო, რაც შეეხება თავისუფალ კრედიტებს, მისი მოცულობა უნდა შეიზღუდოს;
 - სადოქტორო ნაშრომის დამუშავების პროცესში მეტად უნდა იყოს ჩართული ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სპეციალისტები;
 - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამა და თანდართული დოკუმენტაცია უნდა მოიყვანოს სრულ შესაბამისობაში აკრედიტაციის ახალ სტანდარტებთან.
- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- კარგი იქნება, შრომის ბაზრის კვლევამ მოიცვას არა მხოლოდ უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები, არამედ საქართველოს შრომის ბაზარი მთლიანად, რაც დაწესებულებას საშუალებას მისცემს უკეთესად დაინახოს შრომის ბაზრზე არსებული მიმდინარე მოთხოვნილებები და სამომავლო ტენდენციები, მოთხოვნადი პროფესიები და დეფიციტური სპეციალობები;
 - სასურველია პროგრამა ითხოვდეს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ან ისეთი მიმართულებებით ცოდნის დადასტურებას, რაც მეტად უზრუნველყოფდა პროგრამის დასაძლევად საჭირო ცოდნისა და უნარების მქონე პირთა დაშვებას პროგრამაზე;
 - სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები“ სასურველია სტუდენტის ლექტორთან საკონტაქტო საათების მოცულობის გაზრდა;
 - სასურველია დამსაქმებლებთან მეტი ინტერნსიური თანამშრომლობა მათ მიერ საგანმანათლოებლო პროგრამის შეფასების კუთხით.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დაწესებულებამ გაითვალისწინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის 2014 წლის დასკვნის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები. კერძოდ, გაიწერა პროგრამის შემუშავებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურები, განხორციელდა სადოქტორო ნაშრომის შეფასების პროცესში გარე შემფასებლის ჩართვა, მოხდა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართვა, ამოღებულ იქნა სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები, თავისუფალი კომპონენტისთვის განისაზღვრა მეტი კრედიტი, მოხდა ცვლილებები პროგრამის სასწავლო კომპონენტშიც, დაემატა სავალდებულო კომპონენტები: აკადემიური წერა, პროფესორის ასისტენტობა; აგრეთვე გაჩნდა ახალი არჩევითი სასწავლო კურსები: სწავლების მეთოდები, მათემატიკური მოდელირება. შეიცვალა სადისერტაციო ნაშრომის შეფასების წესი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის მიზანია: სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად კვლევითი საქმიანობისათვის სამეცნიერო კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ფართო, ღრმა, სისტემური კვლევის წარმოებას, ბიზნესის ადმინისტრირებაში არსებული პრობლემური საკითხების გამოვლენას და მასზე მეცნიერული კვლევის წარმოებას, მეცნიერული კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვის გზების ძიებას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას, ბიზნესის ადმინისტრირებაში მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომის შექმნას, რომელიც წარმოაჩენს სიახლეს შესაბამისი საკითხის შესწავლა-განვითარებაში და უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად თანამედროვე სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგიით აღჭურვილი ახალი აკადემიური კადრის მომზადებას.

პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია ნათლად, ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. კერძოდ, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის მიზანია: სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად კვლევითი საქმიანობისათვის სამეცნიერო კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ფართო, ღრმა,

სისტემური კვლევის წარმოებას და ბიზნესის ადმინისტრირებაში მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომის შექმნას, რომელიც ასევე წარმოაჩენს სიახლეს შესაბამისი საკითხის შესწავლა-განვითარებაში და იქნება თანამედროვე სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგიით აღჭურვილი. პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსადმთავრებული შეძლებს ბიზნესის ადმინისტრირების დარგებში საერთაშორისო რეფერირებად ან რეცენზირებად პუბლიკაციაზე მუშაობას, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას, მოხსენების მომზადებას, დებატებში ჩართვას, განსხვავებული აზრის გაგებას და ბიზნეს ადმინისტრირების საკითხების ანალიზისას საკუთარი პოზიციის დასაბუთებას, ყველა შესაბამისი წყაროს მოძიებას, განმარტებას და გამოყენებას, ფაქტებისა და თეორიული ცოდნის შეჯერებას და ობიექტურად შეფასებას.

პროგრამის მოდიფიცირებამდე დაწესებულებამ ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა, როგორც ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნების, ასევე საერთაშორისო ბაზრის თანამედროვე ტენდენციების გამოსავლენად. კვლევის პროცესში გამოკითხულ იქნა უნივერსიტეტის პარტნიორი 7 დაწესებულება. კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. დაწესებულებამ წარმოადგინა კვლევის ანგარიში, რომელიც ძირითადად დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხებია და მასში ნაკლებადაა შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციის შეფასება, მოთხოვნადი პროფესიების განსაზღვრა და მასთან კურსადმთავრებულთა კომპეტენციების თავსებადობის დადგენა. ასევე, იმ პროფესიების დადგენა, რომლებიც მიმდინარე პერიოდში დეფიციტურია ან/და უახლოეს პერსპექტივაში მოსალოდნელია მათზე მოთხოვნის გაზრდა.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას, ძირითადად ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნილებებსა და ტენდენციებს, რადგან უნივერსიტეტის მისიაა მოწინავე სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო-პრაქტიკულ მოდელებზე ბაზირებული კვლევის წარმოება და ინოვაციური განათლების მიცემა, საყოველთაოდ აღიარებული მაღალი სოციალური და მორალური პასუხისმგებლობის მქონე კადრების წარმოება, რითაც ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი ხელს უწყობს საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის მთავარ უპირატესობათა გამოყენებით ცოდნის შექმნას, შენახვას და გადაცემას, საექსპერტო და კვლევითი საქმიანობის წარმოებით და ფარგლებში ხელს უწყობს ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებას, სამოქალაქო თანამშრომლობისა და პასუხისმგებლობის გაღვივებას. უზრუნველყოფს აკადემიური თავისუფლებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპების ხეშეწყობას.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, მისი მოდიფიცირების პროცედურა უნივერსიტეტში გამჭვირვალეა და მასში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები).
○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ უნივერსიტეტის მისია ○ შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის რექტორთან, ვიცე პრეზიდენტთან, ვიცე პრეზიდენტთან ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ კარგი იქნება, შრომის ბაზრის კვლევამ მოიცვას არა მხოლოდ უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები, არამედ საქართველოს შრომის ბაზარი მთლიანად, რაც დაწესებულებას საშუალებას მისცემს უკეთესად დაინახოს შრომის ბაზრზე არსებული მიმდინარე მოთხოვნილებები და სამომავლო ტენდენციები, მოთხოვნადი პროფესიები და დეფიციტური სპეციალობები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და შინაარსით მოიცავს მესამე საფეხურის შესატყვის ცოდნას და უნარებს. სწავლის შედეგები ძირითადად პასუხობს კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგების ნაწილის ფორმულირება სადაოა. კერძოდ, ცოდნა და გაცნობიერების ნაწილში ერთ-ერთი სწავლის შედეგია: „შეისწავლოს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები“, მაგრამ შესწავლა არის პროცესი და ის სწავლის შედეგი ვერ იქნება. ვფიქრობთ, რომ სწავლის შედეგი უნდა იყოს „რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების“ გამოყენების დემონსტრირება და არა შესწავლა. ამიტომ ალბათ უმჯობესია სწავლის შედეგის ფორმულირება შემდეგი სახით: „სტუდენტი იყენებს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებს“. იგივე ითქმის შემდეგ სწავლის შედეგზე: „სტუდენტი შეძლებს თანამედროვე საკვალიფიკაციო-სამეცნიერო თემატიკის შერჩევისა და რეალიზაციის თავისებურებების ცოდნის შეძენას“. ალბათ უნდა იყოს „სტუდენტი განსაზღვრავს (აღწერს) თანამედროვე საკვალიფიკაციო-სამეცნიერო თემატიკის

შერჩევისა და რეალიზაციის თავისებურებებს“. ან, მაგალითად, უნარების ნაწილში, სადაც წერია, რომ „დოქტორანტს შეეძლება ბიზნესის ადმინისტრირების დარგებში საერთაშორისო რეფერირებად ან რეცენზირებად პუბლიკაციაზე მუშაობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის, მოხსენების მომზადება; ჩვენი აზრით უნდა იყოს „დოქტორანტი აქვეყნებს პუბლიკაციებს ბიზნესის ადმინისტრირების დარგებში საერთაშორისო რეფერირებად ან რეცენზირებად გამოცემებში; მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში“ და ა.შ.

პროგრამის სწავლის შედეგები საჭიროებენ ისეთ ფორმულირებას, რომელიც შესაძლებელს გახდის მათს გაზომვადობას და შეფასებითობას. ამასთან ერთად, ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობრივი შემცირებაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, საჭიროა დაწესებულებამ შეიმუშაოს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების, სწავლა სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუ უნივერსიტეტის რექტორთან, ვიცე პრეზიდენტთან, ვიცე პრეზიდენტთან ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან

რეკომენდაციები:

- უნდა შემცირდეს პროგრამის სწავლის შედეგები რაოდენობრივად;
- პროგრამის სწავლის შედეგების აღწერა უნდა იყოს მარტივი, მკაფიო, რათა ადვილი იყოს მისი გაზომვა და შეფასება. მაგ. „სტუდენტი იყენებს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებს“; „სტუდენტი განსაზღვრავს (აღწერს) თანამედროვე საკვალიფიკაციო-სამეცნიერო თემატიკის შერჩევისა და რეალიზაციის თავისებურებებს“; „დოქტორანტი აქვეყნებს პუბლიკაციებს ბიზნესის ადმინისტრირების დარგებში საერთაშორისო რეფერირებად ან რეცენზირებად გამოცემებში; მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში“ და ა.შ.
- დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების, სწავლა სწავლების

მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკები;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა განისაზღვრება ბიზნესის სკოლის (ფაკულტეტის) დებულებით (დამტკიცებულია ბიზნესის სკოლის (ფაკულტეტის) საბჭოს 2017 წლის 23 იანვრის #1 გადაწყვეტილებით) და სადისერტაციო საბჭოს დებულებით (დამტკიცებულია შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის (ფაკულტეტის) საბჭოს 2018 წლის 14 მაისი № 2 გადაწყვეტილებით). ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მქონე პირს. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ „B2“ დონეზე ცოდნა. პროგრამა არ მოითხოვს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ან სხვა რომელიმე (მაგ. სოციალური მეცნიერებები, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) ისეთი მიმართულებით ცოდნის დადასტურებას რაც მეტად უზრუნველყოფდა პროგრამის დასაძლევად საჭირო ცოდნისა და უნარების მქონე პირთა დაშვებას პროგრამაზე და შესაბამისად, უზრუნველყოფდა პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: <http://www.gau.ge/>.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ბიზნესის სკოლის (ფაკულტეტის) დებულება;
- სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა;

○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: ○ N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია პროგრამა ითხოვდეს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ან ისეთი მიმართულებებით ცოდნის დადასტურებას, რაც მეტად უზრუნველყოფდა პროგრამის დასაძლევად საჭირო ცოდნისა და უნარების მქონე პირთა დაშვებას პროგრამაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს

2018 წლის 3 მაისი #1 დადგენილებით) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროგრამის შემუშავებასა და განახლებას აღნიშნული მეთოდოლოგიით დადგენილი პროცედურების შესაბამისად. პროგრამის განახლება-განვითარების პროცესში ჩართული იყო ამ მიზნით შექმნილი კომისია, რომელიც აერთიანებდა ყველა დაინტერესებულ მხარეს (სტუდენტი, კურსდამავრებული, დამსაქმებელი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის წარმომადგენლები და ა.შ.). პროგრამის განახლების მიზნით შექმნილი კომისიის მუშაობა დასტურდება კომისიის შეხვედრებისა და მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით (შეხვედრების შინაარსის აღწერა, კომისიის სხდომის ოქმები), ასევე, კომისიის წევრებსა და ზოგადად დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებით. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სადოქტორო საფეხურს. პროგრამის შინაარსი შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, თუმცა რეკომენდირებულია პროგრამა გამდიდრდეს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების შესაბამისი სპეციალობის სასწავლო კურსებით (მაგ. მენეჯერული ეკონომიკა, ბიზნესის კვლევის მეთოდები), რომლებსაც გაუძღვება შესაბამისი კვალიფიკაციის დარგის სპეციალისტები.

პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული კვლევის მეთოდები სოციოლოგიური კვლევის მეთოდების სწავლებაზეა ორიენტირებული და ნაკლებად ბიზნესის კვლევის მეთოდებზე. სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურაც სოციოლოგიური კვლევის მეთოდების შესახებ (Alan Bryman, Social Research Methods, W. Lawrence Neuman, Social Research Methods, კობა ნონიაშვილი, კვლევის მეთოდები სოციოლოგიაში). პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები ლოგიკურადაა დალაგებული, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის მოცულობაა 180 კრედიტი, მათ შორის 60 სასწავლო და 120 კვლევითი კომპონენტია. სასწავლო კომპონენტის ნაწილი, 30 კრედიტი ეთმობა სავალდებულო სასწავლო კომპონენტს, ხოლო 30 კრედიტი - არჩევით სასწავლო კომპონენტს ან თავისუფალ კრედიტებს.

ამრიგად, დოქტორანტურის სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს დაწესებულების მიერ შეთავაზებული არჩევითი კურსებით (40 კრედიტიდან აირჩიოს 30 კრედიტი), რომელიც მოიცავს დარგობრივ ენას, სწავლების მეთოდებს, მათემატიკურ მოდელირებას და თემატურ სემინარს ან 30 კრედიტი შეასრულოს თავისუფალი კომპონენტების სახით, უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი სადოქტორო პროგრამიდან. თავისუფალი და არჩევითი კურსების ასეთი თანაფარდობა არ მიგვაჩნია გამართლებულად. ჩვენი აზრით

უმჯობესია, რომ არჩევითი კურსები იძლეოდნენ მეტ შესაძლებლობას დოქტორანტმა თავისი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, შეარჩიოს სასწავლო კურსები (მათ შორის მიმართულებების მიხედვით: ფინანსები, აღრიცხვა, მენეჯმენტი, მარკეტინგი, HR), ხოლო რაც შეეხება თავისუფალ კრედიტებს, მისი მოცულობა უნდა შეიზღუდოს, მაგ 5-10 კრედიტის მოცულობით. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: <http://www.gau.ge/>.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის განვითარების კომისიის სხდომის ოქმები, #1, #2, #3, #4, 2018;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- პროგრამა უნდა გამდიდრდეს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების შესაბამისი სპეციალობის სასწავლო კურსებით, რომლებსაც გაუძღვებიან შესაბამისი კვალიფიკაციის დარგის სპეციალისტები;
- პროგრამას უნდა დაემატოს სასწავლო კურსი „ბიზნესის კვლევის მეთოდები“ არსებული სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები“ ნაცვლად, რომელიც უფრო მეტად სოციოლოგიური კვლევის მეთოდების სწავლებაზეა ორიენტირებული;
- არჩევითი კურსები უნდა იძლეოდნენ მეტ შესაძლებლობას დოქტორანტმა თავისი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, შეარჩიოს სასწავლო კურსი (მათ შორის მიმართულებების მიხედვით: ფინანსები, აღრიცხვა, მენეჯმენტი, მარკეტინგი, HR), ხოლო, რაც შეეხება თავისუფალ კრედიტებს, მისი მოცულობა უნდა შეიზღუდოს, მაგ. 5-10 კრედიტის მოცულობით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, თუმცა აღნიშნული შესაბამისობის მეტად დადგენის მიზნით რეკომენდირებულია ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები მეტად დაკონკრეტდეს, ისე, რომ გამოიკვეთოს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ცოდნისა და უნარების ფორმირება. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება სადოქტორო საფეხურს, სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ამავე სასწავლო კურსების შინაარსთან. სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მოცულობა მეტწილად შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს, თუმცა სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები“

ვთვლით, რომ სასურველია ლექტორთან საკონტაქტო საათების მოცულობის გაზრდა. აღნიშნული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი საათებიდან (250 საათი), მხოლოდ 15 საათი ეთმობა სტუდენტის ლექტორთან საკონტაქტო საათებს. ვთვლით, რომ სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები“ სწავლის შედეგების მისაღწევად საჭიროა სტუდენტის ლექტორთან მეტი მუშაობა. თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში ფასდება სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. სასწავლო კურსების ფარგლებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს და მათი გამოყენებით შესაძლებელია სასწავლო კურსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევა. ამასთანავე, სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებულია თანამედროვე ლიტერატურა, რაც ხელს უწყობს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები“ სასურველია სტუდენტის ლექტორთან საკონტაქტო საათების მოცულობის გაზრდა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებს პრაქტიკული და კვლევითი უნარებით. სწავლების პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით პროგრამა ითვალისწინებს სავალდებულო კომპონენტს „პროფესორის ასისტენტობა“, რომლის ფარგლებშიც ხდება დამოუკიდებელი პედაგოგიური საქმიანობისთვის საჭირო უნარების გამომუშავება, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარის ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს დოქტორანტის რეალურ სამუშაო (სასწავლო) გარემოში ადაპტაციასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებას. დოქტორანტის კვლევითი უნარების განვითარების მიზნით პროგრამა ითვალისწინებს სასწავლო კურსს „კვლევის მეთოდები“, სტუდენტის კვლევითი უნარების განვითარებას ასევე უზრუნველყოფს პროგრამის კვლევითი კომპონენტი, სადოქტორო ნაშრომის მომზადება და დაცვა. უნივერსიტეტში მოქმედი სადისერტაციო საბჭოს დებულება (დამტკიცებულია შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის (ფაკულტეტის) საბჭოს 2018 წლის 14 მაისი № 2 გადაწყვეტილებით) არეგულირებს სამეცნიერო ხელმძღვანელის მიმართ არსებულ მოთხოვნებს. დებულების თანახმად დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბიზნესის სკოლის (ფაკულტეტის) სადისერტაციო საბჭოს წევრი პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი და დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება. შესაბამისად, დებულება უზრუნველყოფს დოქტორანტს კვალიფიციური ხელმძღვანელით. თუმცა, ვთვლით, რომ რიგ შემთხვევებში რეკომენდირებულია სადოქტორო ნაშრომის დამუშავების პროცესში მეტად იყოს ჩართული ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სპეციალისტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ სადისერტაციო საბჭოს დებულება; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები: ○ სადოქტორო ნაშრომის დამუშავების პროცესში მეტად უნდა იყოს ჩართული ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სპეციალისტები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებულია ადეკვატური სწავლებისა და სწავლის მეთოდები, მეთოდები შესაბამისობაშია სასწავლო კურსების შინაარსთან და ამდენად უზრუნველყოფენ სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

შესაძლებლობას, რაც დასტურდება კომპონენტის ფარგლებში კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევისთვის ლოგიკური სწავლა/სწავლების მეთოდების მითითებითა და შესაბამისად გამოყენებით (მაგ. სასწავლო კომპონენტის „პროფესორის ასისტენტობა“ ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები (დისკუსია/დებატები, დემონსტრირების მეთოდი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ინდუქციური, დედუქციური და ანალიზის მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება), ლოგიკურად უზრუნველყოფს კომპონენტით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას, მაგალითად როგორიცაა, პრეზენტაციის პროცესის წარმართვის უნარი, პრეზენტაციის შემდეგ სტუდენტთა დისკუსიის სტიმულირების უნარი, საპრეზენტაციო თემის განხილვის შემდეგ პრობლემების შეჯამების უნარი, სასწავლო პროცესის ორგანიზების სხვადასხვა ფორმების გამოყენების უნარი და ა.შ.). პროგრამისა და სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების სადოქტორო საფეხურს (პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდებია: დისკუსია/დებატები, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქციური, დედუქციური და ანალიზის მეთოდი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, დაკვირვების მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში).

სასწავლო კურსის ფარგლებში ინტენსიურად გამოიყენება სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა, მათთან კონსულტაციები. სტუდენტებთან კონსულტაციებისა და ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობები დადასტურდა როგორც სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების, ასევე, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები შეესაბამება ამავე სასწავლო კურსით დადგენილ სწავლის შედეგებს, შესაბამისად, მათი გამოყენებით შესაძლებელია სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება. სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და ფორმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში და ცნობილია სტუდენტებისთვის. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება შეფასების სისტემის ხელმისაწვდომობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა. სტუდენტები ადასტურებენ შეფასების შედეგების შესახებ უკუკავშირის მიღებას და ამასთანავე, მიღებული შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობას, ადასტურებენ გასაჩივრებასთან დაკავშირებით არსებული პროცედურების შესახებ ინფორმაციის ფლობას. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის

პერიოდულ შეფასებას სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ. სამეცნიერო ხელმძღვანელის აღნიშნული ვალდებულება ასევე, განსაზღვრულია უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია სადისერტაციო ნაშრომის შეფასება გარე შემფასებლის მიერ. ნაშრომი წინასწარი შეფასების მიზნით გადაეცემა ორ რეცენზენტს, რომელთა შორის ერთი გარე შემფასებელია. მათ მიერ მიიღება გადაწყვეტილება სადისერტაციო ნაშრომის საჯაროდ დაცვაზე დაშვების / არ დაშვების შესახებ. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ, კერძოდ, სადისერტაციო ნაშრომს აფასებს სადისერტაციო კომისიის წევრები. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, ნაშრომის საჯაროდ დაცვის დროს. დისერტაციის შეფასების მიზნით გამოყენებული კრიტერიუმები განსაზღვრულია ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამით. პროგრამით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები, ლოგიკურია, გასაგები და იძლევა სადისერტაციო ნაშრომის შინაარსის, აქტუალობის, კვლევის პრაქტიკული და თეორიული ღირებულებების, მიღებული კვლევის შედეგების, ასევე ნაშრომის ტექნიკურად გაფორმებისა და დოქტორანტის მიერ ნაშრომის სათანადოდ წარმოჩენის უნარის შეფასების საშუალებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან და სტუდენტებთან;
